

**საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 21 მაისის არჩევნებისას  
“მრავალეროვანი საქართველოს” მიერ გაწეული საქმიანობის წინასწარი  
ანგარიში და ხმის მიცემის შედეგების შეფასება**

საერთო სამოქალაქო მოძრაობამ “მრავალეროვანმა საქართველომ” განახორციელა წინასაარჩევნო პროცესებისა და არჩევნების დღის კომპლექსური მონიტორინგი ქვემო ქართლში, შიდა ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და კახეთში. ორგანიზაციის მიერ მოცულ 247 უბანზე მუშაობდა 310 დამკვირვებელი. “მრავალეროვანმა საქართველომ” არჩევნებთან მიმართებაში დახვეწა და გამოიყენა გამოცდილებით შეძენილი მიდგომა დაკვირვების სქემის შედგენისას. კერძოდ, უბნების განსაზღვრისას დამკვირვებლების განსათავსებლად გათვალისწინებულ იქნა სამი ძირითადი მიმართულება: ყველაზე უფრო ძნელად მისადგომი უბნები, ეთნიკური უმცირესობების მრავალრიცხოვნობა და საპრეზიდენტო არჩევნებისას გამოვლენილი ყველაზე უფრო პრობლემატური უბნები. დამკვირვებლების განთავსების სქემა ასევე ითვალისწინებდა ადგილობრივი დამკვირვებლების გადაადგილებას ერთი (თავისი) რაიონიდან მეორე რაიონში, რამაც გამორიცხა დამკვირვებლის მოვალეობის სრულფასოვანი შესრულების ხელშემშლელი, მეგობრობრული, ნათესაური და სხვა კონტაქტების ზეგავლენა.

**ფინანსური მხარდაჭერა**

პროგრამის განხორციელება შესაძლებელი გახდა საქართველოსა და სომხეთში ევროპის კომისიის მისიის, ფონდ “კორდეიდის” (CORDAID), ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის, აშშ-ს განვითარების საერთაშორისო სააგენტოს (USAID), საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდისა (IFES) და საქართველოში ქალთა ფონდის მხარდაჭერით.

**“მრავალეროვანი საქართველო” – ცენტრალური საარჩევნო კომისია –  
ადგილობრივი ადმინისტრაციები**

**ცსკ**

რაც შეეხება წინასაარჩევნო მონიტორინგსა და არჩევნების დღეს დაკვირვებას, “მრავალეროვან საქართველოს” შეუძლია შეაფასოს ცვესკოს საქმიანობა, როგორც თანამშრომლებაზე ორიენტირებული, კერძოდ კი, მას შემდეგ, რაც “მრავალეროვანმა საქართველომ” საოლქო და საუბო საარჩევნო კომისიების ყურადღება მოიზიდა პროპორციულად დიდი რაოდენობის ადამიანების ერთიანი საარჩევნო სიიდან დანართში გადაადგილებაზე, ერთიან სიაში შესაბამისი აღნიშვნის გაკეთების გარეშე (მაგ. გარდაბნის რ-ნის №49 უბანი).

ასევე მსწრაფლ იქნა ზომები მიღებული გარდაბნის რაიონის სოფ. სართიჭალაში პედაგოგებს შორის (რომელთაგანაც ძირითადად კომპლექტდება საუბნო საარჩევნო კომისიები) გავრცელებული ხმის წინააღმდეგ, რომ, ვითომდა შესაძლებელი იყო ოჯახის ერთი წევრის მიერ დანარჩენი წევრების ნაცვლად ხმის მიცემა.

დამკვირვებლებმა შეასრულეს თავისი მისია მოახდინეს რა რეაგირება 135 კანონდარღვევაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა 42 უბანზე (რომელთაგან 37-ზე შეტანილ იქნა შესაბამისი საჩივრები, ხოლო 5-ზე დაუყოვნებლივ შეწყდა კანონდარღვევები კომისიის თავმჯდომარისათვის შენიშვნის მიცემის შემდეგ) და წარადგინეს 60 საჩივარი (რომლებიც მოიცავდნენ ინფორმაციას ყველა დაფიქსირებულ დარღვევაზე), რომელთაგან 40 მიღებულ იქნა საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ განხილვისათვის, 16 – საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ,

ხოლო 4 საჩივარი არ იქნა მიღებული განხილვისთვის. „მრავალეროვანი საქართველოს“ დამკვირვებლების, სხვა დამკვირვებელი ორგანიზაციებისა და მასმედიის ერთობლივი საჩივრების საფუძველზე, 11 უბანზე ჩატარებული არჩევნების შედეგები ბათილად იქნა ცნობილი, 20-ზე მეტი საჩივარი დაკმაყოფილდა და შეჩერებულ იქნა შემდგომი კანონდარღვევები, მათ შორის განმეორებითი ხმის მიცემა (ე.წ. „კარუსელი“), ამომრჩეველთა განმეორებითი მარკირება, სხვის ნაცვლად ხმის მიცემა, ასევე დაცულ იქნა კანონით გათვალისწინებული სხვა საარჩევნო პროცედურები (კერძოდ გარდაბანში, მარნეულში (უბნები №20, 35, 31, 26, 25, 24), გორში (უბნები №54, 89, 3, 48), ახალქალაქში (უბნები №20, 68, 47, 49) ნინოწმინდის ოლქში).

ზოგიერთ ოლქში (მაგალითად, ლაგოდეხში, რუსთავში და ახალქალაქში) საჩივრების შეტანის პროცესს აფერხებდნენ საარჩევნო ადმინისტრაციების წარმომადგენლები.

უფრო დეტალური ინფორმაცია შეტანილ იქნება საბოლოო ანგარიშში, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ორგანიზაციის ინტერნეტ-გვერდზე, ასევე გავრცელდება საერთაშორისო ორგანიზაციებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, პოლიტიკურ პარტიებსა და მასმედიას შორის.

#### **ადგილობრივი ადმინისტრაციები**

უნდა აღინიშნოს, რომ „მრავალეროვანი საქართველოს“ დამკვირვებლები და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები წააწყდნენ არაადეკვატურ დამოკიდებულებასა და ზეწოლას, რომელიც ხელს უშლიდა მათ მუშაობას, კერძოდ საგარეჯოში, ახალციხეში, ბორჯომში, ბოლნისსა და გარდაბანში (ზეწოლის, დაშინებისა და პირდაპირი ძალადობის ჩათვლით).

ჩვენი დამკვირვებლების მიერ 42 უბანზე გამოვლენილი ტიპიური დარღვევები

- არ ხდებოდა ამომრჩეველთა მარკირება (42 უბანზე);
- უბნებზე ამომრჩეველთა დაშვების არასათანადო რეგულირება (42 უბანზე);
- განმეორებითი ხმის მიცემა (7 უბანზე);
- სხვის ნაცვლად ხმის მიცემა (4 უბანზე);
- საარჩევნო ყუთში ყალბი ბიულეტენების ჩაყრა (3 უბანზე);
- ზეწოლა ამომრჩევლებზე (42 უბანზე), მათ შორის დაშინება და პირდაპირი ფიზიკური ძალადობა (3 უბანზე);
- ხმის მიცემის პროცესის შეწყვეტა სათანადო პროცედურების დაცვის გარეშე (2 უბანზე).

ხმის პარალელური დათვლა

ხმის პარალელურ დათვლასთან დაკავშირებით, რომელიც განხორციელდა „მრავალეროვანი საქართველოს“ მიერ, შედეგებმა აჩვენა რამდენიმე ტენდენცია:

- სხვა რაიონებისგან განსხვავებით, გარდაბნის რაიონში და კახეთის რეგიონში საარჩევნო კომისიების მხრიდან ადგილი ჰქონდა მცდელობებს იმ ამომრჩეველთა რაოდენობის შემცირებისა, რომელთაც ხმა მისცეს დღის პირველ ნახევარში, მაშინ როდესაც დღის მეორე ნახევარში ამომრჩეველთა უბანზე გამოცხადების რიცხვი ძლიერ გაიზარდა;
- ზოგიერთ უბანზე შემაჯამებელი ოქმების ასლები (10 უბანამდე, რომელსაც ფარავდა ორგანიზაცია) და იგივე ოქმები, რომლებიც მიღებულ იქნა შესაბამის ოლქებში, მოიცავდა ერთმანეთისგან განსხვავებულ მონაცემებს.

ჯამში, ამომრჩეველთა რაოდენობა, რომელთაც ხმა მისცეს იმ რეგიონებში, სადაც „მრავალეროვანი საქართველო“ ახორციელებდა მონიტორინგს:

*კახეთი* – 156 524 ადამიანი  
*შიდა ქართლი* – 189 507 ადამიანი  
*ქვემო ქართლი* – 180 506 ადამიანი  
*სამცხე-ჯავახეთი* – 115 782 ადამიანი

ამომრჩეველთა რაოდენობა, რომლებიც დაფიქსირებულ იქნენ იმ უბნებზე, სადაც „მრავალეროვანმა საქართველომ“ გამოავლინა დარღვევები:

*კახეთი* – 3 115 ადამიანი  
*შიდა ქართლი* – 1 695 ადამიანი  
*ქვემო ქართლი* – 9 332 ადამიანი  
*სამცხე-ჯავახეთი* – 5 204 ადამიანი

ამომრჩეველთა რაოდენობა, რომლებიც დაფიქსირებულ იქნენ ოქმებში, იმ უბნებზე, სადაც არჩევნების შედეგები ბათილად იქნა ცნობილი: **5 555 ადამიანი**

*ხმის პარალელური დათვლის საბოლოო შედეგები ხელმისაწვდომია ინტერნეტ-გვერდზე <http://e-vote-count.info> ან შეიძლება მოითხოვოთ „მრავალეროვანი საქართველოს“ ოფისში.*

„მრავალეროვანი საქართველოს“ ხელთ არსებულ ზემოხსენებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც ეხება ამომრჩეველთა რაოდენობას იმ უბნებზე, სადაც ჩვენი ორგანიზაციის დამკვირვებლებმა წარადგინეს საჩივრები, ორგანიზაცია ასკვნის, რომ 37 „პრობლემურ“ უბანზე არჩევნების შედეგების გადახედვა არ წარმოადგენს მთლიანად აღნიშნულ რეგიონებში არცევნების შედეგების გადახედვის საფუძველს.

„მრავალეროვანი საქართველო“ აუცილებლად მიიჩნევს აღინიშნოს, რომ გასულ საპარლამენტო არჩევნებზე, ზემოხსენებული რიგი დარღვევების მიუხედავად, ყველა არჩევნებთან დაკავშირებული სუბიექტის, კერძოდ პოლიტიკური პარტიების (როგორც პოზიციის, ასევე ოპოზიციის წარმომადგენლები), ცსკ-ისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ქმედებამ, რომლებიც ახორციელებდნენ არჩევნების მონიტორინგს, გამოიწვია უმცირესობათა არჩევნებში მონაწილეობის დონის ამაღლება. მავე დროს, ჩვენი შეფასებით, აღნიშნული ძალისხმევა საკმარისი არ არის. უცილებელია ასევე გაეხადოს ხაზი რეკორდულად სუსტ ინტერესს ადგილობრივი მასშედიის მხრიდან იმ პროცესებისადმი, რომელთაც ადგილი ჰქონდა უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში წინასაარჩევნო პერიოდში და არჩევნების დროს.

„მრავალეროვანი საქართველო“ ურჩევს არჩევნებში უმცირესობების ჩართულობის დონის ამაღლებაში დაინტერესებულ ყველა მხარეს, მეტი ყურადღება დაუთმონ უმცირესობების ცნობიერების ამაღლებას, მათი საჭიროებების შესწავლას, ასევე მათთან ყოველდღიურ მუშაობას, და არა მარტო წინასაარჩევნო პერიოდში. ასევე აუცილებლად მიგვანჩნია, სამოქალაქო საზოგადოების ძალისხმევის კონსოლიდაცია ქვეყნის საარჩევნო კოდექსში შესაბამისი ცვლილებების შეტანის მიზნით, მათ შორის საარჩევნო პროცესის კონტროლის სხვადასხვა მექანიზმის და ამ პროცესში დაუცველი ჯგუფების მონაწილეობის გარანტიების შექმნის თვალსაზრისით. გვჯერა, რომ ასეთი

მიდგომა ძალზე მნიშვნელოვანია ჩვენს საზოგადოებაში ინტეგრაციული პროცესების ხელშეწყობისა და საერთაშორისო არენაზე ქვეყნის იმიჯის განმტკიცებისათვის.

ჩვენ ასევე ვაცხადებთ კამპანიას რეგიონებში არჩევნების შემდგომი სიტუაციის მონიტორინგის მიზნით, რომელიც განხორციელდება ჩვენი მედია-ცენტრების საშუალებით და ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებული პრობლემების კონტროლზე მუშაობის გაგრძელების გზით.